ბულინგი და მისი მნიშვნელობა

ბულინგი“- ეს არის ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა, ერთი ინდივიდის ან ჯგუფის მხრიდან, მეორე ინდივიდზე. ბულინგი სოციალური მოვლენაა და დამახასიათებელია ძირითადად ორგანიზებული ბავშვთა კოლექტივისათვის, პირველ რიგში კი ეს არის სკოლა. შესაბამისად, ხშირად ტერმინ ბულინგს სასკოლო ძალადობის სინონიმადაც იყენებენ. ბულინგი ვლინდება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჩაგვრის სხვადასხვა ფორმით. ეს შეიძლება იყოს სისტემატიური დაცინვა (მსხვერპლის გარეგნობის ან პიროვნული მახასიათებლების), მსხვერპლის ნივთების დაზიანება, ფულის ან პირადი ნივთების გამოძალვა, მასხრად აგდება, დამცირება.

ტერმინი ბულინგი (ინგ.Bullying)დაშინებას, ჩაგვრას, დატერორებას ნიშნავს. ის შეიძლება განიმარტოს, როგორც წინასწარგანზრახული, განმეორებადი აგრესიული ქმედება, რომელიც მიმართულია სხვათა საზიანოდ. მას ყოველთვის ჰყავს სამიზნე, რომლზედაც ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ძალის დემონსტრირებას ცდილობს.

გამოჰყოფენ ბულინგის შემდეგ ტიპებს: ***ფიზიკური*** (დარტყმა, ხელის ან წიხლის კვრა, სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება და ა.შ.);

ვერბალური (დამცინავი სახელით მიმართვა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ჰომოფობიური და რასისტული გამონათქვამები);

ფარული/შენიღბული ბულინგი (რთული მისახვედრია როდის ხორციელდება; მოძალადე "ჩაგრული" პერსონის ზურგს უკან მოქმედებს, რათა საფრთხე შეუქმნას მის

რეპუტაციას და დაამციროს საზოგადოების წინაშე);

კიბერბულინგი (ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, ფარული ან აშკარა დაშინების მიზნით, განხორციელებული ქმედება."კიბერბულინგში" მოიაზრება: სოციალურ ქსელებში შეურაცხმყოფელი ფოტოების ან ვიდეოს განთავსება, უხამსი ჭორების გავრცელება, მავნე მოკლეტექსტური შეტყობინებების გაგზავნა, სხვათა სახელით გვერდებისა და ანგარიშების შექმნა).